საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2639 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ძირითადი ქსელის ამოქმედების შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სატელევიზიო სიგნალის გავრცელების ჩრდილოვან ზონებში აღმოჩენილი დასახლებული პუნქტების ციფრული მაუწყებლობით უზრუნველყოფის შესახებ

1. „საქართველოში ანალოგური მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ეტაპობრივად გათიშვის გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 ივნისის №273 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო სიგნალის გავრცელების ჩრდილოვან ზონებში აღმოჩენილ დასახლებულ პუნქტებში ციფრული სატელევიზიო რეტრანსლატორების ეტაპობრივად ამოქმედების და იქ მოქმედი ანალოგური სისტემის რეტრანსლატორების ეტაპობრივად გათიშვის გრაფიკი (დანართი №1).

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უზრუნველყონ ამ განკარგულების დანართ №1-ით გათვალისწინებული გრაფიკის შესრულებისთვის აუცილებელი შესაბამისი სამუშაოების განხორციელება.

3. ეთხოვოთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებს, სსიპ – საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს ამ განკარგულების დანართ №1-ით გათვალისწინებული გრაფიკის შესრულებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ძალაშია 2015 წლის 1 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №1

საზოგადოებრივი მაუწყებლის და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო სიგნალის გავრცელების ჩრდილოვან ზონებში აღმოჩენილ დასახლებულ პუნქტებში ციფრული სატელევიზიო რეტრანსლატორების ეტაპობრივად ამოქმედების და იქ მოქმედი ანალოგური სისტემის რეტრანსლატორების ეტაპობრივად გათიშვის გრაფიკი

N	ღონისძიებათა დასახელება	ღონისძიებათა შესრულების ვადა
1	2	3
1	ა) კახეთის რეგიონის დასახლებულ პუნქტებში: ზიარში, არბოშიკში ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. ბ) კახეთის რეგიონში ცივი-ომალოს მონაკვეთზე მიკროტალღური რადიოსარელეო ხაზის მშენებლობა, ომალოში ციფრული რეტრანსლატორის დამონტაჟება და ამოქმედება. გ) კახეთის რეგიონში მოქმედი ანალოგური სისტემის რეტრანსლატორების გათიშვა	ა) 12 იანვარი 2016წ. ბ) 26 ივლისი 2016წ. გ) 1 აგვისტო 2016წ.
2	ა) ქვემო ქართლის რეგიონის დასახლებულ პუნქტებში: კაზრეთში, სიონში, ოფრეთში, დიდ თონეთში, ჯანხოფში, ავრალოში, კოჯორში ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. ბ) ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი ანალოგური სისტემის რეტრანსლატორების გათიშვა	ა) 22 დეკემბერი 2015წ. კაზრეთი, დიდ თონეთი, კოჯორი; 1 აგვისტო 2016წ. სიონი, ოფრეთი, ჯანხოფი, ავრალო; ბ) 3 აგვისტო 2016წ.
3	ა) მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დასახლებულ პუნქტებში: მცხეთაში, გუდაურში, ანანურში, ბარისახოში, ქვეშეთში, წიფორში, ჭართალში, სიონთგორაში, სნო-არხოტში ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. ბ) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დუშეთი-ფასანაური-კიტოხის, დუშეთი-ბარისახოს, კოჯორი-მაღაროსკარი-ჩარგალის მონაკვეთებზე მიკროტალღური რადიოსარელეო ხაზების	ა) 18 დეკემბერი 2015წ. მცხეთა; 29 თებერვალი 2016წ. გუდაური,ანანური, ქვეშეთი, წიფორი, ჭართალი, სიონთგორა, სნო-არხოტი; ბ) 12 ივლისი 2016წ.

	მშენებლობა, დასახლებულ პუნქტებში: ფასანაურში, კიტოხში, ბარისახოში, მაღაროსკარში, ჩარგალში ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. გ) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოქმედი ანალოგური სისტემის რეტრანსლატორების გათიშვა	 გ) 15 ივლისი 2016წ.
4	ა) შიდა ქართლის რეგიონის დასახლებულ პუნქტებში: ატენში, იგოეთში, კასპში, ბობნევში, ბრეძაში, ზღუდერში, კნოლევში, ნაბახტევში ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. ბ) შიდა ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მოქმედი იმ ანალოგური სისტემის სატელევიზიო რეტრანსლატორების გათიშვა რომლებიც ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო გადამცემების მიმართ წარმოქმნიან რადიოხელშეშლებს	ა) 25 დეკემბერი 2015წ. იგოეთი, კასპი; 20 იანვარი 2016წ. ატენი, ბრეძა, ზღუდერი, კნოლევი; 16 მარტი 2016წ. ნაბახტევი 28 ივლისი 2016წ. ბობნევი ბ) 1 აგვისტო 2016წ
5	ა) სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დასახლებულ პუნქტებში: ბენარაში, კეხოვანში, აფნიაში, ბარალეთში, კუმურდოში, ზიკილიაში, საროში, ახალდაბაში, საკირეში, ქვაბისხევში, ფოკაში ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. ბ) სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ახალციხე-მუსხის მონაკვეთზე მიკროტალღური რადიოსარელეო ხაზის მშენებლობა, მუსხში ციფრული რეტრანსლატორის დამონტაჟება და ამოქმედება. გ) სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი ანალოგური სისტემის რეტრანსლატორების გათიშვა	ა) 15 თებერვალი 2016წ. ბენარა, კეხოვანი, სარო, ახალდაბა, საკირე, ქვაბისხევი, ზიკილია; 11 აპრილი 2016წ. აფნია, ბარალეთი, კუმურდო, ფოკა; ბ) 6 ივლისი 2016წ. გ) 8 ივლისი 2016წ.

6	ა) იმერეთის რეგიონის დასახლებულ პუნქტებში: წყალთაშუაში, ხანის მთაში, ბოსლევში, თერჯოლაში, გორაძირში, დარყაში, პერევში, მუხურაში, ცხუნკურში, ბიღა ქვაციხეში, კაცხში, ღვითორში, ხრეითში, ბაბიში, ბორითში, ვანში(ხარაგაული), ზვარეში, მარელისში, საბეში, ქროლი ბაზალეთში, შროშაში, წაქვა-ხევში, წიფაში, ხარაგაულში, ხუნევში ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. ბ) იმერეთის რეგიონში მოქმედი ანალოგური სისტემის რეტრანსლატორების გათიშვა	ა) 30 დეკემბერი 2015წ. თერჯოლა, ხარაგაული; 5 აპრილი 2016წ. მუხურა; წყალთაშუა, ხანის მთა, ბოსლევი, გორაძირი, დარყა, პერევი, ცხუნკური, ბიღა ქვაციხე, კაცხი, ღვითორი, ხრეითი, ბაბი, ბორითი, ვანში(ხარაგაული), ზვარე, მარელისი, საბე, ქროლი ბაზალეთი, შროშა, წაქვა-ხევი, წიფა, ხუნევი ბ) 7 აპრილი 2016წ.
7	ა) რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის დასახლებულ პუნქტებში: ლიხეთში, მუხლში, პატარა ონში, სადმელში, სხვავაში, ხონჭიორში, ხოტევში, ირში, ფარახეთში, წედისში, მუწდში, ღუორბელში, ცხუკურეშში ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. ბ) რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში ონი-უწერა-ღები-გლოლას, ლენტეხი-უკლეში-ჯახუნდერის მონაკვეთებზე მიკროტალღური რადიოსარელეო ხაზების მშენებლობა,დასახლებულ პუნქტებში: გლოლაში, უწერაში, უკლეშში, ჯახუნდერში, ღებში, ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. გ) რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მოქმედი იმ ანალოგური სისტემის სატელევიზიო რეტრანსლატორების გათიშვა რომლებიც ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო გადამცემების მიმართ წარმოქმნიან რადიოხელშეშლებს	ა) 19 თებერვალი 2016წ. ღუორბელი, ცხუკურეში, პატარა ონი, სადმელი; 5 მაისი 2016წ. ლიხეთი, მუხლი, სხვავა, ხონჭიორი, ხოტევი, ირი, ფარახეთი, წედისი, 22 ივლისი 2016წ. მუწდი ბ) 22 ივლისი 2016წ. გ) 25 ივლისი 2016წ.
8	ა) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის დასახლებულ პუნქტებში: კალამანაში, ნახურცილავოში, ბეჩოში, ეცერში, კალაში, ჟამუში-მულახში, ჭუბერში, ჰებუდში ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება.	ა) 9 იანვარი 2016წ. კალამანა, ნახურცილავო; 13 მაისი 2016წ. ბეჩო, ეცერი, კალა, ჟამუში-მულახი, ჭუბერი, ჰებუდი

	ბ) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ზურულდი-უშგულის, ჯვარი-იდლიანი-ხაიშის მონაკვეთებზე მიკროტალღური რადიოსარელეო ხაზების მშენებლობა, დასახლებულ პუნქტებში: უშგულში, ხაიშში, ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. გ) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მოქმედი იმ ანალოგური სისტემის სატელევიზიო რეტრანსლატორების გათიშვა რომლებიც ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო გადამცემების მიმართ წარმოქმნიან რადიოხელშეშლებს	ბ) 26 ივლისი 2016წ. გ) 29 ივლისი 2016წ.
9	ა) გურიის რეგიონში ჩოხატაური-ხევი-ნაბეღლავის მონაკვეთზე მიკროტალღური რადიოსარელეო ხაზის მშენებლობა, დასახლებულ პუნქტებში: ხევში, ნაბეღლავში, ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. ბ) გურიის რეგიონში მოქმედი ანალოგური სისტემის რეტრანსლატორების გათიშვა	ა) 14 ივლისი 2016წ. ბ) 17 ივლისი 2016წ.
10	ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასახლებულ პუნქტებში: მერისში, უჭყიტში, სოფელ ქობულეთში, კვატიაში, ოლადაურში, შუახევში, შუბაანში, ცხმელისში, წაბლანაში, წყალსაყარში, ჯოჭოში, კორტოხში, ფუშკურაულში(ხიხაძირი), ციფრული რეტრანსლატორების დამონტაჟება და ამოქმედება. ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მოქმედი იმ ანალოგური სისტემის სატელევიზიო რეტრანსლატორების გათიშვა რომლებიც ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო გადამცემების მიმართ წარმოქმნიან რადიოხელშეშლებს	ა) 17 თებერვალი 2016წ. სოფელი ქობულეთი, შუახევი, ჯოჭო, 25 აპრილი 2016წ მერისი, უჭყიტი, კვატია, ოლადაური, შუბაანი, ცხმელისი, წაბლანა, წყალსაყარი, კორტოხი, ფუშკურაული(ხიხაძირი), ბ) 28 აპრილი 2016წ